



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №105

2014 წლის 24 ოქტომბერი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N56
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების
შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის
კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული
კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის N56 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის
დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27
დეკემბრის N56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის)
ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის
შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან
ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8
თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე



გიორგი ხელაძე